მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ დამია–გეურარხში მდინარე დებედას ნაპირსამაგრი სამუშაოების შესყიდვა ელექტრონული ტენდერის საშუალებით

სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი

ოქმი N1

ქ. მარნეული 15.08.2018 წელი

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:

ზაურ ტაბატაძე — მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი.

კომისიის წევრები:

ლაშა ლობჯანიძე — მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე (იმყოფება შვებულებაში);

ვუგარ მამედოვი — მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

ლერი ფანგანი — მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

ინგა გოდოლაძე-ქორიძე — მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

სოსო ინაძე — მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისა და სტატისტიკის გან-ის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მ.შ;

კახაბერ ქველაძე — მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის გან-ის მეორადი სტრუქტურული ერთ. ხელმძღვანელის მ.შ.

ზანდა კვანჭიანი — მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

აპარატის წევრი:

მარიამ ჩოფლიანი — მარნეულის მუნიციპალიტეტის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

დღის წესრიგი:

მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ დამია–გეურარხში მდინარე დებედას ნაპირსამაგრი სამუშაოების შესყიდვის ელექტრონული ტენდერის შესახებ განცხადების ტექსტისა და სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცება.

<u>მსვლელობა:</u>

სატენდერო კომისიამ განიხილა მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ დამია–გეურარხში მდინარე დებედას ნაპირსამაგრი სამუშაოების შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს და ყურადღება გაამახვილეს შემდეგ გარემოებებზე:

- შესყიდვის სავარაუდო ღირებულება – <u>1 680 000 ლარი (დღგ-ს გათვალისწინებით).</u>
- სამუშაოების შესრულების ვადა – ხელშეკრულების გაფორმებიდან <u>150 (ასორმოცდაათი) კალენდარული დღე</u>.

- შესრულებული სამუშაოს ხარისხის საგარანტიო ვადა – საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 (ორი) წელი.
- 2015 წლის პირველი იანვრიდან მოცემული ტენდერის გამოცხადების დღემდე, პრეტენდენტის მიერ ფაქტობრივად შესრულებული ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის (ჯებირების, გაბიონებისა და სხვა ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობის სამუშაოები) სამუშაოების ღირებულებების ჯამი უნდა იყოს არანაკლებ 9 072 000 (ცხრამილიონსამოცდათორმეტიათასი) ლარისა.
- პერსონალის გამოცდილება - შესაბამის სფეროში საინჟინრო განათლების მქონე მინიმუმ - 2 (ორი) სპეციალისტი, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილებით.
- დაფინანსების წყარო - 45.09% - ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტი; 54.91% - სახელმწიფო ბიუჯეტი.
- სამუშაოს შესრულების ვადიდან გამომდინარე აღნიშნული შესყიდვა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად განიხილება მრავალწლიან შესყიდვად (2018-2019 წწ) , რაც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანოს თანხმობის მიღების შემდეგ შეტყობინების სახით უნდა ეცნობოს სააგენტოს. ვინაიდან აღნიშნულთან დაკავშირებით მივიღეთ თანხმობა (2018 წლის 14 აგვისტოს N3561-03 მოხს. ბარათი) მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2018 წელს შესასრულებელი სამუშაოების ასანაზღაურებელი თანხა განისაზღვრა არაუმეტეს 1 344 000 ლარით (80%) .
- „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ელექტრონული ტენდერი გამოცხადდეს/ჩატარდეს ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, დამატებითი რაუნდების გარეშე.

<u>კომისიამ იხელმძღვანელა, რა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით და ,,ელექტრონული ტენდერის წესის დამტკიცების შესახებ" ბრძანებით, დაადგინა:</u>

1. დამტკიცდეს სატენდერო დოკუმენტაცია, (სატენდერო დოკუმენტაცია, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი) და განცხადების ტექსტი თანდართული დოკუმენტაციით და თანხმობის მიღების მიზნით გაიგზავნოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში;
2. დაევალოს შესყიდვების განყოფილებას ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად მრავალწლიან შესყიდვასთან დაკავშირებით შეტყობინების სახით აცნობოს შესყიდვების სააგენტოს.

3. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს თანხმობის მიღების შემდეგ სატენდერო განცხადების და სატენდერო დოკუმენტაციის შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემაში განთავსება.

კომისიის თავმჯდომარე

ზაურ ტაბატაძე

კომისიის წევრები

ვუგარ მამედოვი

ლერი ფანგანი

ზანდა კვაჭიანი

ინგა გოდოლაძე-ქორიძე

სოსო ინაძე

კახაბერ ქველაძე

აპარატის წევრი

მარიამ ჩოფლიანი